ინგა გაბისონია, ლალი გესელია,

გურანდა ჩარქსელიანი

ამოცანათა კრებული დაპროგრამებაში

მეთოდური მითითებებითა და

ამოხსნებით

ნაწილი IV

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2012

UDC(უაკ) 004.42(076)

გ-127

კრებულის ამ ნაწილში განხილულია სხვადასხვა სირთულის ამოცანები, რეალიზებული C++ დაპროგრამების ენაზე (Devcpp ვერსია 4.9.9.2, Borland C++ ვერსიები 3.1, 5.02 და ა.შ.). განხილული ამოცანები თემატურად დაკავშირებულია სტრიქონებთან, ფუნქციებთან და ფაილებთან. მოყვანილია ზოგიერთი ალგორითმების მოკლე აღწერილობები. კრებულში შესულია როგორც სავალდებულო მასალა, ასევე ორიგინალური ამოცანებიც.

რეცენზენტი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი ირინა ხუციშვილი

გამომცემლობა **„უნივერსალი“, 2012**

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-0-0753-8(ყველა ნაწილის)

ISBN 978-9941-0-5120-3(მეოთხე ნაწილის)

1. შესავალი

განვიხილოთ რამდენიმე საინტერესო ამოცანა, რომლებიც წინა ნაწილებში განხილულ საკითხებს ეხება.

ამოცანა 1. დავითვალოთ მატრიცაში მთავარი დიაგონალის ზემოთ განლაგებული ელემენტების საშუალო არითმეტიკული.

```
#include <iostream.h>
#include <conio.h>
main()
int mas[5][5], i, j, sum, s;
float sash;
cout<<”shemovitanot masivis elementebi”;
for(i=0; i<n; i++)
for(j=0; j<n; j++)
cin>>mas[i][j];
s=0; sum=0;
for(i=0; i<n; i++)
for(j=0; j<n; j++)
if (j<i)  {s++; sum+=mas[i][j];}
sash=sum/s;
cout<<”mocemuli matricis mtavar diagonals zemot “;
cout<<”elementebis sashualoa”<<sash;
getch();
}
```

ამოცანა 2. ვიპოვოთ მთელი დადებითი რიცხვის ყველა გამყოფი.

```
#include <iostream.h>
#include<conio.h>
int main()
{int num;
cout<<”\n shemoitant ricxvi….”; cin>>num;
int half=num/2;
int div=2;
while (div<=half)
```

```
{ if (!(num%div))  cout<<div<<"\n";
div++;}
getch();
}
```

ამოცანა 3. მოცემულია ნამდვილი რიცხვი, ამოვიღოთ ამ რიცხვიდან ფესვი ცნობილი იტერაციული ფორმულით: $y_n = \frac{1}{2}\left(y_{n-1} + x/y_{n-1}\right)$ წინასწარ მოცემული eps სიზუსტით , (სადაც y_{n-1} ფესვის წინა მნიშვნელობაა, y_n - ფესვის მომდევნო მნიშვნელობაა, fabs() - აბსოლუტური მნიშვნელობის პოვნის სტანდარტული ფუნქციაა.

```
# include <iostream.h>
#include <conio.h>
#include <math.h>
int main()
{double x,eps;
double  yp,y=1;
cout<<"shemoitanet argument da sizuste";
cin>>x>>eps;
do
{yp=y;
y=(yp+x/yp)/2;}
while (fabs(y-yp)>=eps);
cout<<"fesvi "<<x<<"-dan  ="<<y;
getch(); }
```

ამოცანა 4. დავწეროთ პროგრამა, რომელიც ითვლის ჰიპერბოლურ სინუსს x ნამდვილი ცვლადისათვის eps მოცემული სიზუსტით შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$sh\,x = 1 + \frac{x^3}{3!} + \frac{x^5}{5!} + \frac{x^7}{7!} + \cdots$$

```
#include <iostream.h>
#include <conio.h>
```

```
#include <math.h>
int main()
{const int miter=500;  //iteraciaTa raodenobis shezgudva
double  x, eps;
cout<<"\n shemoitanet argument da sizuste";
cin>>x>>eps;
bool f=true; //scorad  gamotvlis nishani
double y=x; ch=x;
for( int n=0; fabs(ch)>eps; n++)
{ch*=x*x/(2*n+2)/(2*n+3); //mckrivis mimdinare cevri
y+=ch;
if (n>miter)
{cout<<"\n mckrivi ganshladia";
f=false; break;}
}
if (f) cout<<"\n funqciis mnishvneloba:"<<y;
getch();
return 0;}
```

ამოცანა 5. მოცემულია მთელი რიცხვების მასივი, რომელიც კლავიატურიდან უნდა წავიკითხოთ. დავწეროთ პროგრამა, რომელიც გაარკვევს, წარმოადგენს ეს მასივი მუდმივ მიმდევრობას თუ არა.

```
#include <iostream.h>
#include <conio.h>
main()
{int a[10], i, k;
cout<<"\n shemovitanot masivis elementebi";
for(i=0; i<10; i++)
cin>>a[i];
k=0;
for(i=1; i<10; i++)
if ( a[i]!=a[0])  k++;
if (k==0)  cout<<"\n mimdevroba mudmivia";
   else cout<<"\n mimdevroba mudmivi ar aris";
```

```
getch();
return 0;}
```

იგივე ამოცანის უკეთესი რეალიზაციაა:

```
#include <iostream.h>
#include <conio.h>
main()
{int a[10], i; bool t=true;
cout<<"shemovitanot masivis elementebi";
for(i=0; i<10; i++)
cin>>a[i];
for(i=1; (i<10)&&(t==true); i++)
   if (a[i]!=a[0]) t=false;
if (t==false) cout<<"\n mimdevroba mudmivi ar aris";
else cout<<"\n mimdevroba mudmivia";
getch();
return 0;}
```

ამოცანა 6. მოცემულია მთელი ტიპის მასივი, დავითვალოთ ამ მასივში მხოლოდ მარტივი ელემენტების რაოდენობა.

```
#include <iostream.h>
#include <conio.h>
main()
{int a[50], i,k,j,n=0;
cout<<"\n shemovitanot  masivis elementebi";
for (i=0; i<50; i++)  cin>>a[i];
for (i=0; i<50; i++)
{
if  (a[i]==2)  {n=n+1;break;}
k=0;
for (j=2; j<=a[i]/2; j++)
if (a[i] % j==0) {k=1; break;}
if (k==0) n=n+1;}
cout<<"martivi elementebis raodenoba n="<<n;
```

```
getch();
return 0;}
```

იგივე პროგრამის სხვანაირი რეალიზაცია:

```
#include <iostream.h>
#include<conio.h>
main()
{ int a[10], i, x, k=0; bool t;
cout<<”shemoitanet masivis elementebi”;
for(i=0; i<10; i++)  cin>>a[i];
for(i=0; i<10; i++)
{t=true;
for(x=2; (x<=a[i]/2)&&(t=true); x++)
if (a[i] % x==0)  t=true;
if ( (t=true)&&(a[i]!=1) )  k++;}
cout<<”\n martivi elementebis raodenobaa”<<k;
getch();
return 0;}
```

ამოცანა 7. შემოვიტანოთ მთელი ტიპის მართკუთხა a[n][m] მასივი, ვიპოვოთ ამ მასივის სტრიქონების ელემენტთა ჯამები და დავალაგოთ მასივის ელემენტები ამ ჯამების ზრდადობის მიხედვით.

```
#include<iostream.h>
#include<iomanip.h>
#include<conio.h>
int main()
{int const n=3, m=4;
 int i,j,a[n][m];
int sum[n];
cout<<"shemovitanot masivis elementebi:";
for(i=0; i<n; i++)
for(j=0; j<m; j++)
cin>>a[i][j];
```

```
cout<<"gamovitanot masivis elementebi da";
 cout<<"mati shesabamisi jamebi:"<<endl;
for(i=0; i<n; i++)
{
sum[i]=0;
for(j=0;j<m;j++)
sum[i]+=a[i][j];
}
for(i=0;i<n;i++){
for(j=0;j<m;j++)
cout<<a[i][j]<<" ";
cout<<"|"<<sum[i]<<endl;
}
cout<<endl;
long buf_sum;
int nmin,buf_a;

for(i=0;i<n-1;i++)
{nmin=i;
for(j=i+1;j<n;j++)
if (sum[j]<sum[nmin]) nmin=j;
buf_sum=sum[i]; sum[i]=sum[nmin];
sum[nmin]=buf_sum;s
for(j=0;j<m;j++)
{buf_a=a[i][j];a[i][j]=a[nmin][j];a[nmin][j]=buf_a;}}
cout<<"gamovitanot dalagebuli masivi:"<<endl;
for(i=0;i<n;i++)
{
for(j=0;j<m;j++)
cout<<setw(4)<<a[i][j]<<" ";
cout<<endl;
}
getch();
return 0;
}
```

2. ამოცანები სიმბოლოთა მასივებზე

ჩვენ საილუსტრაციოდ განვიხილავთ მაგალითებს, სადაც გამოვიყენებთ სიმბოლოებისაგან შემდგარ მასივებს.

ამოცანა 8. მოცემულია სიმბოლოებისაგან შემდგარი მასივი, რომელიც უნდა შემოვიტანოთ კლავიატურიდან. დავთვალოთ ამ მასივში ციფრების ოდენობა. ციფრების დათვლა განვახორციელოთ ფუნქციაში. (მასივის შემოტანის დროს უნდა გავითვალისწინოთ რომ სიმბოლოს წარმოადგენს აგრეთვე ე.წ. ”პრობელი” ანუ ღილაკი space.)

```
#include <iostream.h>
#include <conio.h>
#define n 10
int datvla(char a[ ], int m);
main()
{ char a[n]; int i,k;
cout<<”\n shemovitanot masivis elementebi”;
for (i=0; i<n; i++) cin>>a[i];
k=datvla(a,n);
cout<<”\n cifrebis raodenobaa”<<k;
getch(); }
int datvla(char a[ ], int m)
{int i, d=0;
for(i=0; i<n; i++)
if ( (a[i]<=’0’) && (a[i]>=’9’)) d++;
return d;
}
```

ამოცანა 9. მოცემულია მასივი, რომელიც სიმბოლოებისაგან შედგება. დავწეროთ პროგრამა, რომელიც გაარკვევს, კლავიატურიდან შემოტანილ მასივში რა არის მეტი, ციფრები თუ სხვა სიმბოლოები?

```
#include <iostream.h>
#include <conio.h>
#define n 15
main( )
{char a[n]; int i,b,d;
cout<<"\n shemovitanot masivis elementebi";
for (i=0; i<n; i++)
cin>>a[i];
for (i=0; i<n; i++)
if ((a[i]>='0') && (a[i]<='9') b++;
else d++;
if (b>d) cout<<"\n cifrebis raodenoba metia";
else if (b==d) cout<<"\n cifrebis raodenoba da";
 cout<<"simboloebis raodenoba tolia";
else cout<<"\n simboloebis raodenoba metia";
getch();
return 0;}
```

იგივე ამოცანის რეალიზაცია შეიძლება ფუნქციის გამოყენებით:

```
#include <iostream.h>
#include <conio.h>
int metoba (char a[ ], int n)
{int  i, p, s=0, k=0;
for (i=1; i<=n; i++)
if ((a[i]='0') && (a[i]<='9') s=s+1; else k=k+1;
if (k>s) p=0; else   if(k<s) p=1;
else p=2;
return p;}
main ()
{int i,m;
char a[10];
cout<<"\n shemovitanot masivis elementebi";
for(i=1; i<=10; i++) cin>>a[i];
m=metoba(a,10);
if (m==0) cout<<"\n simboloebi metia";
```

```
else if (m==1) cout<<"\n ricxvebia meti";
else cout<<"\n ricxvebis da simboloebis odenoba tolia";
getch();}
```

ამოცანა 10. მოცემულია char ტიპის მასივი, რომელიც კლავიატურიდან უნდა წავიკითხოთ. დავწეროთ პროგრამა, რომელიც გაარკვევს, ამ მასივში დიდი ასოითი სიმბოლოებია უფრო მეტი, თუ პატარა ასოითი სიმბოლოები .

```
#include <iostream.h>
#include <conio.h>
void abc (char a[ ], int n)
{int i, k=0, p=0;
for (i=0; i<n; i++)
{if ((a[i]>='a') && (a[i]<='z')) k++;
if ((a[i]>='A') && (a[i]<='Z')) p++;}
if (k<p) cout<<"\n patarebi metia"<<k;
else if (k==p) cout<<"\n ertnairi raodenobaa"<<k;
else cout<<"\n didebi metia"<<p;
}
main()
{int i;
char a[10];
cout<<"\n shemovitanot masivis elementebi \n";
for (i=0; i<10; i++)  cin>>a[i];
abc(a,10);
getch();
}
```

ამ ამოცანის მოდიფიკაციას წარმოადგენს შემდეგი ამოცანა:

ამოცანა 11. დავწეროთ პროგრამა, რომელიც სიმბოლურ მასივში დაითვლის ცალ-ცალკე დიდი და პატარა ასოების რაოდენობას. სხვა სიმბოლოები არ გავითვალისწინოთ.

```
#include <iostream.h>
#include<conio.h>
```

```
void abc (char a[ ], int n)
{int i,  k=0,p=0;
for ( i=0; i<n; i++)
if ((a[i]>='a') && (a[i]<='z'))  k++;
else  if ((a[i]>='A') && (a[i]<='Z')) p++;
cout<<"\n patara asoebis raodenoba"<<k;
cout<<"\n didi asoebis raodenoba"<<p;}
main()
{int i; char a[ 10];
cout<<"\n shemovitanot masivis elementebi";
for (i=0; i<10; i++) cin>>a[i];
abc (a,10);
getch();}
```

ამოცანა 12. მოცემულია სიმბოლური მასივი, რომელიც კლავიატურიდან უნდა შემოვიტანოთ. დავწეროთ პროგრამა, რომელიც გაარკვევს, არის თუ არა ეს მასივი პალინდრომი (ანუ აქვს თუ არა მასივს სიმეტრიის ღერძი).

ცხადია, ერთმანეთს უნდა შევადაროთ a[0] და a[n-1] ელემენტები, a[1] და a[n -2] ელემენტები, a[2] და a[n -3] ელემენტები.... და ზოგადად, a[i] და a[n-1-i] ელემენტები.

```
#include <iostream.h>
#include <conio.h>
#define n 15
bool palindromi (char a[ ], int m)
{int i;
for ( i=0; i<m/2; i++)
if (a[i]!=a[n-1-i] ) return false;
return true;}
main()
{ char a[n]; bool p;
 int i;
cout<<"\n shemovitanot masivis elementebi";
for (i=0; i<n; i++)  cin>>a[i];
```

```
p=palindromi (a,n);
if (p==true) cout<<"\n masivi simetriulia";
else cout<<"\n masivi ar aris simetriuli";
getch();}
```

ამოცანა 13. მოცემულია სიმბოლური მასივი, რომელიც კლავიატურიდან უნდა შემოვიტანოთ. დავწეროთ პროგრამა, რომელიც გაარკვევს, ამ მასივის მხოლოდ ლუწ-ინდექსიანი ელემენტებისაგან შედგენილი მიმდევრობა არის თუ არა მუდმივი.

```
#include <iostream.h>
#include <conio.h>
#define n 20
bool  mimdevroba (char a[ ], int m)
{int i;
for (i=2; i<m; i+=2)
if (a[i]!=a[2]) return false;
return true;
}
main( )
{char a[n];
int i; bool p;
cout<<"\n shemovitanot masivis elementebi";
for (i=1; i<=n; i++)  cin>>a[i];
p=mimdevroba (a,n);
if (p==true) cout<<"\n mimdevroba mudmivia";
else cout<<"\n mimdevroba mudmivi ar aris";
getch();
return 0;}
```

ანალოგიურ სტილში შეიძლება დაიწეროს:

ამოცანა. მოცემულია სიმბოლური მასივი. დავწეროთ პროგრამა, რომელიც გაარკვევს, გვხვდება თუ არა ამ მასივში განმეორებადი სიმბოლოები. დავბეჭდოთ ის სიმბოლო, რომელიც ყველაზე მეტჯერ გვხვდება მოცემულ სიმბოლურ მასივში.

ამოცანა. დავწეროთ 12 ამოცანის ანალოგი პროგრამა კენტ-ინდექსიანი ელემენტების მიმდევრობის მუდმივობის შესახებ.

3. მუშაობა სტრიქონებთან.

ახლა მოვიყვანოთ მაგალითები, რომლებიც C++-ზე სტრიქონებთან მუშაობას შეეხება. აქვე განვიხილავთ სპეციალურ ფუნქციებს, რომლებიც სტრიქონებთან მუშაობისას გამოიყენება. ნებისმიერი პროგრამა სიმბოლოების თანმიმდევრობას წარმოადგენს. სწორედ სიმბოლოების გაერთიანებით მიღებულ ჯგუფებს გააჩნიათ გარკვეული შინაარსი. სწორედ ეს ჯგუფები დამუშავდება კამპილატორის მიერ და საბოლოოდ წარმოადგენს ინსტრუქციათა ერთობლიობას. პროგრამა აგრეთვე შეიძლება შეიცავდეს სიმბოლურ მუდმივებს. სიმბოლური მუდმივი (კონსტანტა) წარმოადგენს ერთმაგ ბრჭყალებში ჩაწერილი სიმბოლოს შესაბამის რიცხვით მნიშვნელობას. სტრიქონი წარმოადგენს სიმბოლოთა თანმიმდევრობას, რომელიც დამუშავდება, როგორც ერთიანი მოდული. სტრიქონი შეიძლება შეიცავდეს ასოებს, ციფრებს, და სხვადასხვა სპეციალურ სიმბოლოებს, როგორიცაა +, -, *, $,და სხვა. სტრიქონული მუდმივები იწერება ორმაგ ბრჭყალებში. ”qalaqi Tbilisi”.

C++-ზე სტრიქონი წარმოადგენს სიმბოლოთა მასივს, რომელიც დაბოლოვდება ნულოვანი სიმბოლოთი (’\0’). სტრიქონზე წვდომა ხორციელდება სტრიქონის პირველ სიმბოლოზე მიმთითებლის მეშვეობით. ამიტომაც შეიძლება ჩავთვალოთ, რომ C++-ზე სტრიქონი წარმოადგენს ისეთ მიმთითებელს, რომელიც მიუთითებს სტრიქონის პირველ სიმბოლოზე. ამ თვალსაზრისით სტრიქონი მასივის ანალოგია. (მასივში მიმთითებელი მიუთითებს მასივის პირველ ელემენტზე). სტრიქონი შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც მასივი, რომელიც შედგება სიმბოლოებისაგან, ან char* ტიპის ცვლადი.

```
char color [ ] =”blue”;
char *colorPtr=”blue”;
```

ორივე ბრძანება მიანიჭებს "blue" მნიშვნელობას. პირველი ვარიანტი შექმნის 6-ელემენტიან color მასივს, რომელიც შეიცავს სიმბოლოებს 'b', 'l', 'u', 'e', '\0', . მეორე ვარიანტი შექმნის colorPtr მიმთითებელ ცვლადს, რომელიც მიუთითებს მეხსიერებაში სადმე ჩაწერილ "blue" სტრიქონზე. პირველი ვარიანტი შესაძლებელია სხვანაირადაც ჩავწეროთ:

char color [ ] = {'b', 'l', 'u' ,'e', '\0'};

სტრიქონის ზომა აუცილებლად უნდა გულისხმობდეს ნულოვანი სიმბოლოს ადგილსაც. მასივში სტრიქონის ჩაწერისას შესაძლებელია ვისარგებლოთ შემდეგი კონსტრუქციით:

cin>>word; ან cin>>setw(20)>>word; (შეზღუდვა - 19 სიმბოლო).

სტრიქონების დამუშავებისათვის გამოიყენება სპეციალური ბიბლიოთეკა, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ფუნქციებს. გავეცნოთ ძირითად ფუნქციებს:

char *strcpy (char *s1, const char *s2)

s2 სტრიქონს ჩაწერს (ჩააკოპირებს) s1 სიმბოლოთა მასივში, აბრუნებს s1-ს.

char *strncpy (char *s1, const char *s2, size_t n)

არაუმეტეს n რაოდენობის სიმბოლოებს s2 სტრიქონიდან ჩაწერს (ჩააკოპირებს) s1 სიმბოლოთა მასივში, აბრუნებს s1-ს.

char *strcat (char *s1, const char *s2)

ამატებს s2 სტრიქონს s1 სტრიქონში. s2 სტრიქონის პირველი სიმბოლო ჩაიწერება s1 სტრიქონის ნულოვანი სიმბოლოს ადგილზე, აბრუნებს s1-ს.

char *strncat (char *s1, const char *s2, size_t n)

ამატებს არაუმეტეს n რაოდენობის სიმბოლოებს s2 სტრიქონიდან s1 სტრიქონში. s2 სტრიქონის პირველი სიმბოლო ჩაი წერება s1 სტრიქონის ნულოვანი სიმბოლოს ადგილზე, აბრუნებს s1-ს.

int strcmp (const char *s1, const char *s2)

ერთმანეთს ადარებს s1 და s2 სტრიქონებს. ფუნქცია აბრუნებს 0-ს, ნულზე ნაკლებ რიცხვს ან ნულზე მეტ რიცხვს, თუ შესაბამისად s1=s2, s1<s2, s1>s2.

int strcmp (const char *s1, const char *s2, size_t n)

ერთმანეთს ადარებს პირველ n სიმბოლოს s1 სტრიქონიდან და s2 სტრიქონებს. ფუნქცია აბრუნებს 0-ს, ნულზე ნაკლებ რიცხვს ან ნულზე მეტ რიცხვს, თუ შესაბამისად s1=s2, s1<s2, s1>s2.

char *strtok(char *s1, const char *s2)

ეს ფუნქცია იწვევს s1 სტრიქონის ”ლექსემებად” დაყოფას, რომლებიც s2-შია ჩაწერილი. შესაძლებელია ამ ფუნქციის რამდენიმეჯერ გამოძახება.

size_t strlen (const char *s)

განსაზღვრავს s სტრიქონის სიგრძეს. აბრუნებს იმ სიმბოლოთა რაოდენობას, რომლებიც ნულოვანი სიმბოლოს წინ არის ჩაწერილი.

განვიხილოთ საილუსტრაციო მაგალითები:

```
#include  <iostream.h>
#include  <string.h>
#include  <conio.h>
main()
{
char x[ ]=”gilocavt dabadebis dges!”;
char y[35], z[15];
cout<<”striqoni x masivshi: “<<x<<endl;
cout<<”striqoni y masivshi: “<<strcpy( x, y)<<endl;
strncpy( z, x, 9);
z[9]=’ \0’;
cout<<”striqoni z  masivshi: “<<z<<endl;
getch( );
return 0;
}
```

```
#include  <iostream.h>
#include  <string.h>
#include  <conio.h>
main()
{
char s1[35]=”bednier ”;
char s2[ ] =”axal cels gisurvebt ”;
```

```
char s3[40]="";
cout<<" s1= "<<s1<<endl<<" s2= "<<s2<<endl;
cout<<"strcat(s1, s2)= "<<strcat (s1, s2)<<endl;
cout<<"strncat(s1, s2, 8)= "<<strncat(s1, s2, 8)<<endl;
cout<<"strcat(s3, s1) ="<< strcat(s3, s1)<<endl;
getch();
return 0;
}

#include <iostream.h>
#include <iomanip.h>
#include <string.h>
#include <conio.h>

main()
{
char *s1 = "bednier axal cels";
char *s2 = "bednier axal cels";
char *s3 = "bednier dges gisurvebt";

cout<<"s1 = "<<s1<<endl<<"s2 = "<<s2<<endl
<<"s3 = "<< s3<<endl<< endl<< "strcmp (s1, s2) ="
<<setw(2)<<strcmp(s1,s2)<<endl<<"strcmp(s1, s3) ="
<<setw(2)<<strcmp(s1,s3)<<endl<<"strcmp(s3, s1) ="
<<setw(2)<<strcmp(s3, s1)<<endl<<endl;

cout<<"strncmp(s1, s3, 8) ="<<setw(2)
<<strncmp(s1, s3, 8)<<endl
<<"strcmp(s1, s3, 9) ="<<setw(2)
<<strncmp(s1, s3, 9)<<endl
<<"strcmp(s3, s1, 9) ="<<setw(2)
<<strncmp(s3, s1, 9)<<endl;
getch();
return 0;
}
```

განვიხილოთ strlen ფუნქციის გამოყენება:

```
#include<iostream.h>
#include<string.h>
#include<conio.h>
main()
{ char *string1=”abcdefghijklmnopqrstuvwxyz”;
char  *string2=”sami”;
char *string3=”Boston”;
cout<< ”striqonis sigrdze\””<<string1<<”\”-“<<strlen(string1)<<endl
<< ”striqonis sigrdze\””<<string2<<”\” - “<<strlen(string2)<<endl
<< “striqonis sigrdze\”’<<string3<<”\” - ” <<strlen(string3) <<endl;
getch();
return 0;
}
```

შედეგი:

```
სტრიქონის სიგრძე   ”abcdefghijklmnopqrstuvwxyz” – 26
სტრიქონის სიგრძე   ”sami” – 4
სტრიქონის სიგრძე   ”Boston” – 6
```

საინტერესოა აგრეთვე strtok ფუნქცია, რომლის გამოყენების მაგალითს ჩვენ აქ მოვიყვანთ:

```
#include<iostream.h>
#include<string.h>
#include<conio.h>
main()
{ char string=”es tcinadadeba sheicavs khut leqsemas”;
char  *tokenptr;
 cout<< ”striqoni, romelic iyofa leqsemebad:” <<endl
 <<string<<endl<<endl<<”leqsemebi:”<<endl;
  tokenptr= strtok(string, “ ”);
```

```
while (tokenptr!=NULL ) {
cout <<tokenptr << endl;
tokenptr = strtok(NULL, " ");
}

  getch();
  return 0;
}
```

striqoni, romelic iyofa leqsemebad:
es tcinadadeba sheicavs khut leqsemas

leqsemebi:
es
winadadeba
Seicavs
xuT
leqsemas

კლავიატურიდან სტრიქონის შეტანისათვის და გამოტანისათვის ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ჩვენთვის კარგად ნაცნობი cin>> და cout<< კონსტრუქციები.

```
#include<iostream.h>
#include<conio.h>
main()
{
char str[80];
cout<<"sheviyvanoT striqoni:";
cin>>str;
cout<<" tqveni striqoni:";
cout<<str;
getch();
return 0;
}
```

შედეგი:

შევიყვანოთ სტრიქონი: ეს შემოწმებაა
თვენი სტრიქონი; ეს

ამ ფრაგმენტის შესრულების შედეგად მოხდება წინადადებიდან მხოლოდ ერთი სიტყვის წაკითხვა; ამ პრობლემის გადასაწყვეტად , ანუ სტრიქონის სრულად წასაკითხად უნდა გამოვიყენოთ ფუნქცია gets();

```
#include<iostream.h>
#include<cstdio.h>
#include<conio.h>
main()
{
char str[80];
cout<<”sheviyvanoT striqoni:”;
gets(str);
cout<<” tqveni striqoni:”;
cout<<str;
getch();
return 0;
}
```

შედეგი:

SeviyvanoT striqoni: es Semowmebaa
Tveni striqoni; es Semowmebaa

ახლა განვიხილოთ კიდევ ერთი ფუნქცია strcpy(), რომელიც აკოპირებს “gamarjoba” სტრიქონს str სტრიქონში.

```
#include<iostream.h>
#include<cstring.h>
#include<conio.h>

main()
```

```
{
char str[80];
strcpy(str,  “gamarjoba” )
cin>>str;
cout<<” tqveni striqoni:”;
cout<<str;
getch();
return 0;
}
```

შემდეგ ხშირად გამოყენებად ფუნქციას წარმოადგენს strcat(), რომლის საშუალებით ხდება s2 სტრიქონის მიერთება (კონკატენაცია) s1 სტრიქონზე.

```
#include<iostream.h>
#include<cstring.h>
#include<conio.h>

main()
{
char s1[20], s2[10];
strcpy(s1,  “gamarjoba” );
strcpy(s2,  “yvelas!” );
strcat(s1,s2)
cout<<s1;
getch();
return 0;
}
```

ახლა განვიხილოთ strcmp() ფუნქცია, რომელიც ახდენს s1 და s2 სტრიქონების შედარებას.

```
#include<iostream.h>
#include<cstring.h>
#include<cstdio.h>
#include<conio.h>
```

```
bool password();
main()
{
 if (password())  cout << “shesvla neba dartulia.\n”;
else   cout<<”shezRudvaa. \n”;
getch();
return 0;
}
bool password()

{   char s[80];
cout<<”sheiyvanet paroli:”;
gets (s);
   if (strcmp(s, “paroli”)) {     //striqonebi ar emTxveva
cout<<”paroli tyuilia. \n”;
return false;
}
return true;      //striqonebi ertmanets emTxveva.
}
```

ხშირად გამოყენებადი ფუნქცია strlen(str) აბრუნებს სტრიქონის სიგრძეს

```
#include<iostream.h>
#include<cstring.h>
#include<cstdio.h>
#include<conio.h>
main()
{
 char str[80];
cout<<”shemovitanoT striqoni:”;
gets(str);
cout<<”striqonis sigrZea:” <<strlen(str);
getch();
return 0;
}
```

ამ უკანასკნელი ფუნქციის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ სტრიქონის რევერსის პროგრამა (რევერსი შებრუნებული სახით დაბეჭდვას ნიშნავს).

```
#include<iostream.h>
#include<cstring.h>
#include<cstdio.h>
#include<conio.h>
main()
{
char str[80];
int i;
cout<<”shemovitanoT striqoni:”;
gets(str);
for(i=strlen(str)-1; i>=0; i--) cout<<str[i];
getch();
return 0;
}
```

მოვიყვანოთ კომბინირებული მაგალითი, რომელიც ზემოთ განხილული ფუნქციების დემონსტრირებას წარმოადგენს:

```
#include<iostream.h>
#include<cstring.h>
#include<cstdio.h>
#include<conio.h>

main()
{
char s1[80], s2[80];
cout<<”Semovitanot ori striqoni”;
gets(s1); gets(s2);
cout<<”mati sigrZeebi:”<<strlen(s1);
cout<<’ ’<<strlen(s2)<<’\n’;
if (!strcmp(s1,s2))
```

```
cout<<”striqonebi tolia\n”;
else cout<<”striqonebi ar aris toil\n”;
strcat(s1,s2);
cout<<s1<<’\n’;
strcpy(s1,s2);
cout<<s1<<”da”<<s2<<’ ’;
cout<<”axla tolebia\n”;
getch();
return 0;
}
```

კიდევ ერთი საკმაოდ ხშირად მოხმარებადი საილუსტრაციო პროგრამა, რომელიც სტრიქონის დიდი რეგისტრიდან პატარა რეგისტრში გადაყვანას ემსახურება (toupper( ) ფუნქციის მეშვეობით):

```
#include<iostream.h>
#include<cstring.h>
#include<cstdio.h>
#include<conio.h>
main()
{
char str[80];
int i;
strcpy(str,”test”);
for(i==0; str[i]; i++)  str[i]=toupper(str[i]);
cout<<str;
getch();
return 0;
}
```

ამოცანა 14. მოცემულია სტრინგი (სტრიქონი), რომელიც შემოგვაქვს კლავიატურიდან. დავწეროთ ფუნქცია, რომელიც გაარკვევს ამ სტრინგში ციფრული სიმბოლოები უფრო მეტი რაოდენობისაა, თუ ასოითი სიმბოლოები.

```
#include <iostream.h>
#include <conio.h>
#include <string.h>
int funkcia (char a[ ] )
{
int i, c=0, d=0;
for (i=0;  a[i] !='\0';  i++)
{ if ((a[i]>='0') && (a[i]<='9')) c++;
if ((a[i]>='A')&&(a[i]<='Z')||(a[i]>='a')&&(a[i]<='z')) d++;}
if (c>d) return 1;
if (c<d) return -1;
return 0;
 }
main()
{
char a[n];  int k;
cout <<"shemoitanet stringi";
cin>>a;
k=funkcia(a);
if (k==1)  cout<<"cifruli simboloebi metia";
if (k==-1)  cout<<"asoiti simboloebi metia";
if (k==0) cout<<"cifruli da asoiti simboloebi tolia";
getch ( );}
```

სტრიქონის შემოტანა-გამოტანისათვის C++-ში არსებობს სპეციალური ფუნქციები gets() და puts(). ორივე აღწერილია <stdio.h> ფაილში. ორივეს გააჩნია ერთადერთი პარამეტრი - სტრიქონი.

gets() კითხულობს კლავიატურიდან შეტანილ ყველა სიმბოლოს (მათ შორის არა მარტო ასოითი სიმბოლოები, არამედ სპეციალური სიმბოლოებიც) და ანიჭებს ამოკითხულ სიმბოლოთა მიმდევრობას თავის პარამეტრს (მრგვალ ფრჩხილებში მოცემულ სტრიქონს). puts() ფუნქციას გამოაქვს თავისი პარამეტრის - სტრიქონის - მნიშვნელობა ეკრანზე.

```
#include <stdio.h>
```

```
#include <conio.h>
        main ( )
        {
        char a[30];
        prinf("shemovitanot striqoni");
        gets(a);
        printf("\n striqonshi chaicera :");
        puts(a);
        getch();
        return 0;}
```

gets() -ის გამოყენების დროს სიმბოლოების მიმდევრობის შეტანა უნდა დასრულდეს ENTER ღილაკით. კამპილატორი დაამატებს სტრიქონს ნულოვან ბაიტს.
puts() ფუნქცია სტრიქონის გამოტანის შემდეგ ავტომატურად გადაიყვანს კურსორს ახალ სტრიქონზე, ანუ ფუნქცია ამატებს სტრიქონის ბოლოში ახალ სტრიქონზე გადასვლის სიმბოლოს.

ამოცანა 15. დავწეროთ პროგრამა, რომელიც ახდენს მოცემული სტრიქონის ინვერტირებას (ანუ შებრუნებას):

```
        #include <stdio.h>
        #include <conio.h>
        #include <string.h>
        main()
        {char a[20],p; int i,m;
        gets(a);
        m=strlen(a);
        for(i=0; i<m/2; i++)
        {
        p=a[i]; a[i]=a[m-i-1]; a[m-i-1]=p;
        }
        printf ("%s", a);
        getch();
        return 0;
        }
```

ამოცანა 16. წავიკითხოთ სტრიქონი. გავცვალოთ ამ სტრიქონში სიმბოლოები ვერტიკალური ღერძის მიმართ, ანუ პირველ სიმბოლოს გავუცვალოთ ადგილი ბოლო სიმბოლოსთან, მეორეს - ბოლოს წინასთან და ა.შ.

```
#include  <stdio.h>
#include <conio.h>
#include <string.h>
main( )
{char a[50],p; int i, m, j;
gets(a);
m=strlen(a);
for(i=0, j=m-1; i<j; i++, j--)
{ p=a[i]; a[i]=a[j]; a[j]=p; }
printf( “%s”, a);
getch();
return 0; }
```

ამოცანა 17. მოცემულია სტრიქონი, ამ სტრიქონიდან დავბეჭდოთ ის სიტყვები, რომლებიც იწყება ”ა”, ”დ”, ”კ”, ”რ” ასოებით.

```
#include <iostream.h>
#include <conio.h>
#include <string.h>
main ()
{
int len;
char str[255], strnew[255]="\0";
char *pointer;
cout<<"SemovitanoT striqoni: ";
cin.getline(str,254);
pointer=strtok(str, " ");

if(pointer[0]=='a'||pointer[0]=='d'||pointer[0]=='k'||pointer[0]=='p')
{strcat(strnew,pointer);strcat(strnew," ");}
```

```
while(1)
{
pointer=strtok(NULL, " ");
if(pointer==NULL)
{break;}

if(pointer[0]=='a'||pointer[0]=='d'||pointer[0]=='k'||pointer[0]=='p')
{strcat(strnew,pointer);strcat(strnew," ");}
}
cout<<" akhali striqoni: "<<strnew<<endl;
getch();
return 0;
}
```

cin.getline(str,254) ფუნქციით ხდება მთლიანი სტრიქონის შემოტანა.
strtok(str, " ფუნქციით ხდება str სტრიქონის დაყოფა ინტერვალებით, პირობითი ოპერატორით:
if(pointer[0]=='a'||pointer[0]=='d'||pointer[0]=='k'||pointer[0]=='p')
ვამოწმებთ , იწყება თუ არა ამ 4 სიმბოლოდან ერთ-ერთით მოცემული სიტყვა, რომელზეც უთითებს pointer; თუ იწყება ამ ასოებიდა ერთ-ერთით, მაშინ იწერება strnew სტრიქონში strcat(strnew,pointer) ფუნქციით და ემატება strcat(strnew," ") ფუნქციით ინტერვალი. while(1) არის უსასრულო ციკლი, რომელშიც მეორდება ეს პროცესი, მანამ სანამ არ მიაღწევს სტრიქონის ბოლომდე. როგორც კი მიაღწევს სტრიქონის ბოლოს ანუ თუ pointer==NULL-ს break-ით წყდება ციკლი და გამოვიტანთ ეკრანზე ახალ strnew სტრიქონს.

ამოცანა 18. მოცემული გვაქვს სიმბოლოებისგან შემდგარი სტრიქონი, შეუცვალოთ ადგილები ლუწ და კენტ ინდექსიან ელემენტებს.

```
#include <iostream.h>
#include <conio.h>
#include <string.h>
```

```
  main ()
{
int len;
char str[255];
char tmp;
cout<<"shemovitanot striqoni: ";
cin.getline(str,254);
len=strlen(str);
for(int i=0;i<len-1;i++)
{
if(i%2==0)
{
tmp=str[i];
str[i]=str[i+1];
str[i+1]=tmp;
}
}
cout<<str<<endl;
getch();
return 0;
}
```

cin.getline(str,254)-ით შემოგვაქვს მთელი სტრიქონი, len=strlen(str) ფუნქციით ვპოულობთ str სტრიქონის სიგრძეს. ციკლის ოპერატორში ვამოწმებთ 0-დან დაწყებული len-1-მდე ინდექსების ლუწ -კენტობას.

ამოცანა 19. დავწეროთ strchr() ფუნქციის ანალოგი. (strchr() ფუნქცია აბრუნებს მიმთითებელს საძებნ სიმბოლოზე).

```
#include <iostream.h>
#include <conio.h>
 using namespace std;
char* findch(char ma[], char a);
 main()
{
char line[128];
```

```
char fchar;
char *pointer;
cout<<"Sevitanot striqoni: ";
cin.getline(line,127);
cout<<"shevitanot sadzebni simbolo: ";
cin>>fchar;
pointer=findch(line,fchar);
cout<<"gamogvagvs simbolo "<<pointer[0]<<endl;
getch();
return 0;
}
char* findch(char ma[],char a)
{
int i=0;
while(ma[i]!='\0')
{
if(ma[i]==a)
return &ma[i];
else
i++;
}
return NULL;
}
```

ამოცანა 20. დავწეროთ strncat() ფუნქციის ანალოგი. (strncat(s1,s2,n) ფუნქცია პირველ სტრიქონს მიუერთებს მეორე სტრიქონის მითითებულ n რაოდენობის სიმბოლოებს).

```
#include <iostream.h>
#include <conio.h>
char* mystrncat(char *s1, char *s2, int num);
int main()
{       char *p1=new char [20];
char *p2=new char [20];
strcpy(p1, "abce");
strcpy(p2, "fghi");
```

```
char *p3;
p3=mystrncat(p1,p2, 3);
cout<<p3<<endl;
getch();
}
char* mystrncat(char *s1, char *s2, int num)
{       int len;
len=strlen(s1);
int i;
for(i=0; i<num+len; i++)
{
s1[len+i]=s2[i];
}
s1[i]=0;
return s1;
}
```

4. სიმბოლური ინფორმაციის შეტანა-გამოტანის საშუალებები.

იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა სიმბოლური ინფორმაციის დამუშავება, ეს ინფორმაცია პროგრამას შეიძლება მიეწოდებოდეს როგორც კლავიატურიდან, ასევე რაიმე ფაილიდან. ჯერ განვიხილოთ სიმბოლოების კლავიატურიდან შეტანის შესაძლებლობები.

სიმბოლოების შეტანა-გამოტანის სპეციალური სტანდარტული ფუნქციები C-ზე შემდეგია: getchar(), putchar(). ამ ფუნქციების პროტოტიპები მოთავსებულია <stdio.h>-ში.

პირველი მათგანი ch=getchar() კითხულობს თითოეულ სიმბოლოს კლავიატურიდან და აბრუნებს მის კოდს. ხოლო მეორე ფუნქცია putchar(ch) განათავსებს ch სიმბოლოს ეკრანზე. სიმბოლოების კლავიატურიდან შეტანა უნდა დავასრულოთ CTRL+Z(^Z) კლავიშების კომბინაციის აკრეფით. ამ ნიშნის ამოსაცნობად არსებობს სპეცილური ფუნქცია EOF(end of file), რომლის პროტოტიპიც აგრეთვე <stdio.h>-შია განთავსებული.

იმისათვის, რომ კლავიატურიდან შეტანილი სიმბოლოების მიმდევრობა გამოვიტანოთ ეკრანზე, უნდა ჩავწეროთ:

```
# include <stdio.h>
main()
{
char ch;
printf("Shemoitanet simbolota mimdevroba: ");
ch=getchar();
printf("Chven shevitanet mimdevroba: ");
while (ch!=EOF)
{
putchar(ch);
ch=getchar();
}
return 0;
}
```

ციკლი შეიძლება უფრო მოკლედაც ჩავწეროთ: while((ch=getchar()) !=EOF) putchar(ch);

ამოცანა 21. ქვემოთ მოყვანილი პროგრამა ითვლის კლავიატურიდან შემოტანილი სიმბოლოების რაოდენობას:

```
#include <stdio.h>
main()
{
long n=0;
n=0;
while (getchar()!=EOF)
++n;
printf("n=%ld", n);
return 0;
}
```

ამოცანა 22. შემდეგი პროგრამა დაადგენს, რამდენ სტრიქონად არის დაყოფილი კლავიატურიდან შეტანილი მიმდევრობა.

```
#include <stdio.h>
main()
{
